საგამოფენო სტენდის ქირავნობის ხელშეკრულება 2/87

ქ. ბათუმი 02 მაისი 2012 წ.

ერთის მხრივ, შ.პ.ს. "GEONET EXPO" (შემდგომში „გამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ოსმან ჩალიშქანის სახით და მეორეს მხრივ ს.ს.ი.პ. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (შემდგომში – „დამქირავებელი") დებენ საგამოფენო სტენდის ქირავნობის ხელშეკრულებას შემდეგი შინაარსით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამქირავებელი მიაქირავებს დამქირავებელს 2012 წლის 4-6 მაისს ბათუმის ტურისტისა და სასტუმრო ადგილობის მე-5 საერთაშორისო გამოფენაზე (შემდგომში გამოფენა) საგამოფენო სტენდის 6 მ²-ს.

1.2 1 მ² საგამოფენო სტენდის ქირა შეადგენს 151.50 ლარს, სულ ხელშეკრულების ფასი შეადგენს 909.00 ლარს.

1.3 დამქირავებელი ვალდებულია გადაუხადოს გამქირავებელს ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული თანხა 2012 წლის 15 აპრილამდე.

საფუძველი: სახელმწიფოს მეიჯარეს 2012 წლის 28 მარტის №542 განკარგულება

2. მხარეთა უფლება –მოვალეობანი

2.1. გამქირავებლის უფლებამოსილებანი:

ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულების 1.1 პუნქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) მოითხოვოს დამქირავებელს დროულად და სრულად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.2-1.3 პუნქტების შესაბამისად აღებული ვალდებულება. ვალდებულებების შესრულების შეფერხებისათვის ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის დააკისროს დამქირავებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით;

გ) მოითხოვოს დამქირავებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება;

დ) გამოფენის პერიოდში ხელი შეუწყოს, რომორც უცხოელი ასევე ადგილობრივი გამოფენის მონაწილეებისა და სტუმრების მოზიდვას;

ე) უზრუნველყოს დამქირავებელი საგამოფენო სტენდის მაგიდით, სკამებით, ხალიჩით, ელექტროენერგიით, ინტერნეტით, სტენდზე კომპანიის სახელის წარწერით, ბეჯით, კატალოგში გვერდის განთავსებით, მონაწილის სერტიფიკატით;

ვ) გამოფენის მონაწილეებისათვის გამართოს საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიები;

ზ) გაუწიოს დახმარება დამქირავებელს საბაჟო ფორმალობების მოგვარებაში, საბაჟო ბროკერთან ურთიერთობაში;

თ) სრულად აუნაზღაუროს დამქირავებელს ამ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით წარმოშობილი ზიანი.